სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნანა გოგოლაძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	**89**	**100**

სახელი, გვარი: /ნიკოლოზ მარსაგიშვილი/

თარიღი : 17.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ნანა გოგოლაძის** შეფასების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - ნანა გოგოლაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ნანა გოგოლაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ნანა გოგოლაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" სრული პერსო-

ნალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ნანა გოგოლაძის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ნანა გოგოლაძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლობის გრძნობას, საქმისადმი ერთგულებას და სხვა პიროვნულ თუ პროფესიულ თვისებებს. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ნანა გოგოლაძეს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 24 ივლისიდან 2024 წლის 24 ივლისის პერიოდში ნანა გოგოლაძე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას ახასიათებს ზეგავლენის მიმართ მედეგობა.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნანა გოგოლაძე გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისამართლებრივი წარმოება არ არის დაწყებული. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ ნანა გოგოლაძე დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს საერთო

სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატ ნანა გოგოლაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის სასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნანა გოგოლაძე აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის შეფასების შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ არ იკვეთება ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს. ამდენად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ ნანა გოგოლაძე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ნანა გოგოლაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე - საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 2 სექტემბერს, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო სასამართლო-

ებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში 2024 წლის 4 სექტემბერს ნანა გოგოლაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

ნანა გოგოლაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 12. დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „ნანა გოგოლაძეს აქვს ადმინისტრაციული სამართლის მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, რომელსაც მაღალ დონეზე იყენებს პრაქტიკაში. საქმის დეტალურად გაცნობის შემდეგ, ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხს ხსნის სწრაფად და კონცენტრირებულად. შეუძლია მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკური დასაბუთება. წერს მხარისთვის გასაგებ ენაზე. მაღალ დონეზე ფლობს თეორიულ და საპროცესო კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს. სემინარული მუშაობისას გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და კვალიფიციურად. სტაჟირების პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც კომუნიკაბელურმა და თავაზიანმა ადამიანმა. არის ძალიან ტაქტიანი და არასდროს გასცდენია ეთიკის ნორმებს. ასევე, არის ორგანიზებული და ეფექტურად ანაწილებს დროს. სამოქალაქო სამართალში კანდიდატს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც გამოვლინდა პრაქტიკული დავალებების შესრულებისას და სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტების შედგენისას. მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების ტექნიკაშიც. სამომავლოდ, მან უნდა გააუმჯობესოს ზეპირი გადმოცემის უნარები. სისხლის სამართალში ნანა გოგოლაძის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები/გადაწყვეტილებების პროექტები გამოირჩევა დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მის მიერ შესრულებული სამუშაო გამყარებულია სასამართლო პრაქტიკით. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ ნანა გოგოლაძე კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. მისი პასუხები იყო საკმაოდ ვრცელი, არგუმენტირებული და გამყარებული შესაბამისი პრაქტიკული მაგალითებით. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა არასრული პასუხები გასცა სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით პრაქტიკული მაგალითებიდან გამომდინარე დასმულ შეკითხვებს.

მიმაჩნია, რომ ნანა გოგოლაძე კარგად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა დასმულ საკითხებზე დააფიქსირა კვალიფიციური პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული და დასაბუთებული.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ნანა გოგოლაძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მუშაობის გამოცდილება. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მას „შეუძლია მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკური დასაბუთება. წერს მხარისთვის გასაგებ ენაზე. მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები/გადაწყვეტილებების პროექტები გამოირჩევა დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით.“ ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორებისა და რესპოდენტების ინფორმაციით, კანდიდატი გამოირჩევა სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და განმარტების უნარით. იგი გადაწყვეტილების პროექტს ზედმიწევნით უშეცდომოდ, უმაღლეს დონეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სტანდარტით ასაბუთებს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო კვალიფიციური და თანმიმდევრულია.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის თანახმად, „ნანა გოგოლაძის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტები შინაარსობრივი თვალსაზრისით ყოველთვის მაღალ დონეზე, ყურადღებითაა შედგენილი, სწორად და გასაგები ენითაა გადმოცემული. ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან გარემოებებზე. დოკუმენტი არ საჭიროებს კორექტირებას. გადაწყვეტილებების პროექტს წერს ზედმიწევნით უშეცდომოდ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სტანდარტით, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. კანდიდატი იმიტირებულ პროცესებზე საკუთარ აზრს გასაგებად გადმოსცემდა, მეტყველებდა გამართული ქართულით და საქმის მასალების მნიშვნელოვან კომპონენტებზე ამახვილებდა ყურადღებას.“

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ნანა გოგოლაძეს აქვს საქმის გარემოებების და მასში არსებული პრობლემების სტრუქტურირებულად ზეპირად ჩამოყალიბების უნარი, ასევე შეუძლია საქმის გარემოებების და სამართლებრივი მსჯელობის გასაგებად გადმოცემა და მხოლოდ მნიშვნელოვან საკითხზე ყურადღების გამახვილება. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>პროფესიულ თვისებებთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ნანა გოგოლაძე გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ნათლად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ნანა გოგოლაძე მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

2022 წელს კანდიდატმა ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ასევე - პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. ის არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნანა გოგოლაძეს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული მიმართულება) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2018 წელი; საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები - საჯარო სამსახურის ბიურო - 2018 წელი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული მიმართულება) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2018 წელი; ბავშვის უფლებათა კოდექსი - Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG) - 2021 წელი;

სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2021 წელი და სხვა.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ ნანა გოგოლაძის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 89 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 17.09.2024